# „ქართულმა ოცნებამ“ გამარჯვება სოფელ ჭანიეთში იზეიმა



**ალიონი.** „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციამ, მხარდამჭერებმა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება სოფელ ჭანიეთში იზეიმეს.

იქ შეკრებილ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერებს გამარჯვება მიულოცეს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა **არჩილ თალაკვაძემ** და „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მერაბ ჭანუყვაძემ.**

*–„ჩვენ ახლა ვიმყოფებით სოფელ ჭანიეთში, საიდანაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მთელ საქართველოს მიულოცა პირველ ტურში გამარჯვება. დღეს კი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ორმაგი უპირატესობით დავამარცხეთ „ნაციონალური მოძრაობა“. ჩვენ გავიმარჯვეთ მთელს გურიაში და მთელს საქართველოში. მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს მხარდამჭერებს, სოფელ ჭანიეთის თითოეულ მკვიდრს. მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს თანაგუნდელებს, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მერაბ ჭანუყვაძეს, რომლებმაც დადეს დამაჯერებელი შედეგი.*

*ეს არჩევნები ჩატარდა თავისუფალ, მშვიდ გარემოში. თითოეულ ადამიანს ჰქონდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება. მინდა მადლობა გადავუხადო მათ გაკეთებული არჩევანისთვის.*

*მათ აირჩიეს უკეთესი, მშვიდი მომავალი, საქართველოს განვითარება, რომელშიც თითოეული ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.*

*ვულოცავ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ამ გამარჯვებას და ჩვენს ქვეყანას ვუსურვებ წარმატებას“ –თქვა არჩილ თალაკვაძემ.*

*–„ჩვენ ყველამ ერთად მივაღწიეთ ამ გამარჯვებას. ამ სოფლიდანაა დაწყებული ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავალი. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ამომრჩეველს, თითოეულ თქვენგანს,ყველა იმათ, ვინც უზრუნველყო საარჩევნო პერიოდის მშვიდობიან გარემოში წარმართვა. მათი დიდი შრომის შედეგად დადგა ის შედეგი, რომელსაც დღეს ვზეიმობთ“* – განაცხადა მერაბ ჭანუყვაძემ.

# გაერთიანებული ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვს



გაერთიანებული ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვს, –ამის შესახებ განცხადება „ძალა ერთობაშიას“ პრეზიდენტობის კანდიდატმა,გრიგოლ ვაშაძემ გააკეთა. ვაშაძის ამ განცხადებას ფილარმონიაში შეკრებილი მხარდამჭერების ოვაციები მოჰყვა.

ვაშაძის თქმით, არჩევნები პროპორციული ან პროპორციულ-რეგიონული წესით უნდა ჩატარდეს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები დააკვირდებიან.

ვაშაძე იმავდროულად საარჩევნო ადმინისტრაციის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებას მოითხოვს.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 46 (10291) 3 დეკემბერი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.


# როგორ აფასებენ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს

## სტაჟიანი ამომრჩევლების აზრით, ასეთი წყნარი და მშვიდი არჩევნები ოზურგეთს არ ახსოვს

**28 ნოემბერი, 17 საათი, ოზურგეთი.**

რამდენადაც უცნაურად არ უნდა გეჩვენოთ, 28 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურისთვის ერთგვარ მხსელად მოგვევლინა ოზურგეთის კოლორიტი, მსახიობი და და დრამატურგი ჯემალ კეჭაყმაძე, რომელიც გამორჩეულ დღეებში რამდენიმე წელიწადია ეწევა საქველმოქმედო მოღვაწეობას „უფასო ტაქსი“. სწორედ ჯემალ კეჭაყმაძემ უზრუნველყო ჩვენი გადაადგილება ოზურგეთის №60 ოლქის შემოქმედის №45, გომის №46, წითელმთის №47, ბოხვაურის №23, დვაბზუს №25 საარჩევნო უბნებზე.

მანამდე დილის საათებში ვაკვირდებოდით არჩევნებს №60/01 ზვანის I, №60/02 ზვანის II, 60/05 მოიდანახე II, 60/07 ცენტრი II და ექადიის 60/10 უბნებში.

სტაჟიანი ამორმჩევლების აზრით, ასეთი წყნარი და მშვიდი არჩევნები ოზურგეთს არ ახსოვს. სხვათა შორის, „ალიონთან“ საუბარში ანალოგიური მოსაზრება გამოთქვეს ოპოზიციის წარმომადგენლებმაც.

**შემოქმედის** საარჩევნო უბანი (თავმჯდომარე გივი გიორგაძე) ერთ-ერთი ყველაზე დიდია ოლქში (1528 ამომრჩეველი), აქ 13 საათისათვის 300-ზე მეტმა ამომრჩეველმა გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება. როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა **გოჩა**


▶▶▶ გვ-2




# საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი – სალომე ზურაბიშვილი




## პირველი პრეზიდენტი ქალი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი გახდა. ის პირველი პრეზიდენტი ქალია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში.

სალომე ზურაბიშვილმა მეორე ტურში დამაჯერებლად მოუგო გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს, ბატონ გრიგოლ ვაშაძეს. ცესკოს საბოლოო მონაცემებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ხმების 59.52% (1 147 627 ხმა) აიღო, „გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს გრიგოლ ვაშაძეს კი ამომრჩეველთა 40.48%-მა(780 633 ხმა) დაუჭირა მხარი.

28 ნოემბერს საქართველოს მოსახლეობამ, 5-ის ნაცვლად, 6 წლით, პირდაპირი წესით ბოლოჯერ აირჩია ქვეყნის პრეზიდენტი.

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე, რომელიც სავარაუდოდ 16 დეკემბერს გაიმართება, ძალაში შედის ახალი კონსტიტუცია, რომლითაც პრეზიდენტის უფლებები იკვეცება და ქვეყანა საპარლამენტო მოდ-


▶▶▶ გვ-3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;



**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**



*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# როგორ აფასებენ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს

## სტაჟიანი ამომრჩევლების აზრით, ასეთი წყნარი და მშვიდი არჩევნები ოზურგეთს არ ახსოვს

**შილაკაძემ** გვითხრა, *„არჩევნები შემოქმედში მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და ამ ეტაპზე რაიმე არსებითი სახის დარღვევა არ ფიქსირდება“.*

**გომის** საარჩევნო უბანზე (თავმჯდომარე მაკა ყაზაიშვილი), სადაც 425 ამომრჩეველია, 12 საათისათვის 30%-მა მისცა ხმა თავის სასურველ კანდიდატს. აქ შევხვდით და გავეცანით ეუთოს წარმომადგენლებს – **სკრირმანტს სტრიმასტისს** ლიეტუვადან და **ლინა კიოკისტუს** ფინეთიდან.

**წითელმთის** სარჩევნო უბანზე (თავმჯდომარე ეკატერინე ერქომაიშვილი) 14 საათისათვის 628-დან 300-მდე ამომრჩეველი გამოცხადდა. როგორც ოპოზიციის დამკვირვებლებმა **მედეა ტრაპაიძემ** და **ეკატერინე მუჯირმა** გვითხრეს, მათ არანაირი დარღვევა არ შეუმჩნევიათ, არჩევნები მიმდინარეობს მშვიდ ვითარებაში.

**ბოხვაურის** №23 საარჩევნო უბანიც (თავმჯდომარე ზაზა ინარიძე) ერთ-ერთი დიდია ოლქში (1490 ამომრჩეველი). 15 საათისათვის ბოხვაურში 587 ამომრჩეველი გამოცხადდა საარჩევნო უბანზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის **კახა თავბერიძის** თქმით, ჯერჯერობით არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია და არჩევნები მიმდინარეობს ნორმალურად.

**დვაბზუს** №25 საარჩევნო უბანში (თავმჯდომარე ზაირა გურაშვილი), სადაც 1109 ამომრჩეველია რეგისტრირებული, 15.30 საათისათვის 510 ამომრჩეველი გამოცხადდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელის **რომან ღლონტის** თქმით, საარჩევნო პროცესი ნორმალურად და მშვიდად მიმდინარეობს.

# რას გვეუბნება სტატისტიკა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქისა და უბნების შედეგები.

ოზურგეთის საარჩევნო ოლქში ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატმა **გრიგოლ ვაშაძემ 9 818 ხმა (36,4 %)** მიიღო, ხოლო ქართული ოცნების კანდიდატმა **სალომე ზურაბიშვილმა 17 052 ხმა (63,46%)**.

(პირველ ტურში გრიგოლ ვაშაძემ –10160 ხმა,37,74%; სალომე ზურაბიშვილმა –14046 ხმა, 38,64%).



**გრიგოლ ვაშაძემ 62 უბნიდან მხოლოდ 4 უბანზე გაიმარჯვა: ნასაკირალის** №60/15 უბანზე 342 ხმა –ზურაბიშვილი 163; **ნასაკირალის** №60/59 მეორე უბანზე 472 ხმა; ზურაბიშვილი –313; **ნარუჯის** №60/13 უბანზე:– 379 ხმა; ზურაბიშვილი –168ხმა; **ნარუჯის** №60/58 უბანზე –438 ხმა; ზურაბიშვილი –234 ხმა.

დანარჩენ 58 უბანზე სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა, საიდანაც არაერთზე დიდი უპირატესობით:

**ზვანის** 1№60/01 უბანი: ზურაბიშვილი 540 ხმა; ვაშაძე–188;

**ექადიის** №60/10 უბანი: ზურაბიშვილი –302 ხმა; ვაშაძე –109;

**ურეკის** №60/14 უბანი: ზურაბიშვილი 400 ხმა; ვაშაძე –86;

**დვაბზუს** №60/25 უბანი: ზურაბიშვილი –508 ხმა; ვაშაძე –178;

**კონჭკათის** №60/30 უბანი: ზურაბიშვილი 612 ხმა; ვაშაძე 199;

**ლიხაურის** №60/32 მეორე უბანი: ზურაბიშვილი –437 ხმა; ვაშაძე –230;

**ქვემო ნატანების** №60/41 მეორე უბანი: ზურაბიშვილი–437 ხმა: ვაშაძე –131;

**ხრიალეთის** №60/49 უბანი: ზურაბიშვილი –627 ხმა; ვაშაძე-251;

**ჭანიეთის** №60/51 უბანი: ზურაბიშვილი –406 ხმა; ვაშაძე –193;

**ჯუმათის** №60/54 უბანი: ზურაბიშვილი –392 ხმა; ვაშაძე –122 ხმა;

**ქვემო ნატანების** №60/ მე-3 უბანი: ზურაბიშვილი –401 ხმა: ვაშაძე –140 ხმა.

# ინფრასტრუქტურული პროექტები ოზურგეთში



**ჯორჯიაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე სანიაღვრე არხებისა და გაზონების მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

სამუშაოების მიმდინარეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე დაესწრო.

**გამსახურდიას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.**

გამსახურდიას ქუჩის 3 ჩიხში გზის სავალი ნაწილი მოასფალტდა და სანიაღვრე არხები მოეწყო.

**გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი ჭანიეთში**

სოფელ ჭანიეთში ცენტრალური გზის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი გრძელდება.

მიმდინარეობს მეწყრული ადგილების გამაგრებისა და ქვის დამცავი კედლის მოწყობა.

# თამარ დუმბაძე: „ერთწლიანი დევნის შემდეგ, ჩემი გათავისუფლება კანონდარღვევით მოხდა“

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის უფროსს, **თამარ დუმბაძეს** გათავისუფლების შესახებ ბრძანება სამსახურში 30 ნოემბერს ჩააბარეს. ბრძანება მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის დასკვნის საფუძველზე მომზადდა.



*საკითხთა სამსახურის უფროსი თამარ დუმბაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დასკვნის საფუძველზე მძიმე დისციპლინური გადაცდომის გამო– გვითხრა მგელაძემ.*

თამარ დუმბაძე ამბობს, რომ, *„ერთწლიანი დევნის შემდეგ, რომ მისი გათავისუფლება კანონდარღვევით მოხდა, აუცილებლად გაასაჩივრებს და სამ-ართალს სასამართლოს გზით იპოვის“.*

გაზეთი „ალიონი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგა-დოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს **ეკა მგელაძეს** დაუკავშირდა:

*– მერიის სოციალურ და ჯანდაცვის*

# ოჯახში ძალადობა მხოლოდ კონფლიქტი არ არის, არამედ დანაშაულიცაა, რომელიც კანონით ისჯება!




**ალიონი.** ოჯახში ძალადობა მხოლოდ კონფლიქტი არ არის! ეს დანაშაულია, რომელიც კანონით არ ისჯება! 29 ნოემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სწორედ ამ საკითხზე და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ჩატარების აუცილებლ-ობაზე ესაუბრა დამსწრე საზოგადოებას ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელი **თამარ კეპულაძე.**

შეხვედრა, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ითქვა თუ რა სახის ძალადობებს ვაწყდებით ოჯახებში (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, იძულებითი, ოჯახის წევრის შემზღუდველი და სხვა).

დასახელდა ის სერვისები, რომელსაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს უწევს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი:

– სადღეღამისო საცხოვრისი (თავშესაფარი);

– ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია;

– პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;

– სამართლებრივი დახმარება;

– საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნით მომსახურება.

**24 საათის განმავლობაში მუშაობს ცხელი ხაზი 116 006. ანონიმურობა დაცულია.**

ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია დამატებით 7 უცხო ენაზე (ინგლისური, რუსული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, არაბული და სპარსული)

# მივიდა თუ არა ასაკოვანი ამომრჩეველი საარჩევნო უბანში დაგვიანებით?

**ალიონი.** ექადიის №10 საარჩევნო უბანში არ-ჩევნების ბოლო საათში მხოლოდ რამდენიმე ამომრჩეველი მოვიდა. საარჩევნო ყუთის დალუქვამდე 1 წუთით ადრე საარჩევნო უბნის ეზოში ასაკოვანი ქალბატონი ნ. ჯ-ში შევიდა. ნაკადის მომწესრიგებელმა რა-ტომღაც არ გაიხედა ეზოში და კომისიის თა-ვმჯდომარეს უთხრა, რომ უბანთან ამომ-რჩეველი არ იყო. კომისიის თავმჯდომარე დალი მიქაძემ წესისამებრ ყუთი დალუქა. ნ. ჯ. ზუსტად 8 საათსა და 01 წუთზე შევიდა საარჩევნო ხმის მიცემის დარბაზში. მას ხმის მიცებაზე უარი უთხრეს.

*–წნევა მქონდა მაღალი. წამლები მივიღე და უბანში წამოვედი. სწრაფად ვერ დავდივარ. ვიფიქრე, ეზოში რომ შევალ, დამინახავენ. გული დამწყდა, რომ ჩემი არჩევანის გაკეთება ვერ შევძელი* –გვითხრა ნ.ჯ.-მ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობის“ წარმომადგენელმა გიორგი ბაგრატიონმა კომისიის თავმ-ჯდომარის გადაწყვეტილება სწორად შეაფასა.

ხმების დათვლის პროცესი წესისამებრ წარიმართა. საბოლოოდ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა სალომე ზურაბშვილმა საერთო ხმების 74 %, 302 ხმა მიიღო, ხოლო გრიგოლ ვაშაძემ –109 ხმა (26 %). 9 ბიულეტენი ბათილი იყო.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა **კაკო თავდუმაძემ** ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ მადლობა გადაუხადა საუბნო კომისიის წევრებს საარჩევნო პროცესის სწორად წარმართვისათვის.


**ქალბატონო სალომე!**

გურული ქალების სახელით, გილოცავთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას და გისურვებთ წარმატებებს.

**დ. გორდელაძე.**

# საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი – სალომე ზურაბიშვილი

## პირველი პრეზიდენტი ქალი არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში

ელზე გადადის. თუმცა, პრეზიდენტი ინარჩუნებს სახელმწიფოს მეთაურის და მთავარსარდლის სტატუსს. პრეზიდენტს რჩება ასევე შეწყალების უფლება. კონსტიტუციონალისტების აზრით, უფლებამოსილების გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად,, საქართველომ, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის სახით, შესაძლოა, მიიღოს ძალიან აქტიური პრეზიდენტი.

საქართველოს ყოფილი მოქალაქე და ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ნიდერლანდებიდან პირდაპირი ჩართვებით მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას,არ აღიაროს ამ არჩევნების შედეგები:

***„ეს არ იყო და არ არის ლეგიტიმური არჩევნები და მე არასდროს არ ვაღიარებ ბიძინა ივანიშვილს. დღევანდელი დღიდან ბიძინა ივანიშვილი აღარ არის ლეგიტიმური მმართველი საქართველოსი...***

***ქართულ საზოგადოებას მოვუწოდებ, არ აღიაროს ამ არჩევნების შედეგები. დემოკრატიულ პროცესთან არანაირ კავშირში არ არის იმიტომ, რომ დგება მომენტები ყველა ერის ისტორიაში, როდესაც იმ პირობებში, როცა კრიმინალი მთლიანად შეერწყა ხელისუფლებას, როდესაც მთავარი მძარცველი მოაჯდა თავზე ყველა სახელმწიფო ინსტიტუტს, აკონტროლებს უკლებლივ ყველა პროცესს, დგება მომენტი, როცა საზოგადოებამ უნდა აიღოს კანონის დაცვა, კონსტიტუციის და თავისი თავისუფლების საკუთარ ხელში,“***

გაერთიანებული ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვს, ამის შესახებ განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, **გრიგოლ ვაშაძემ** 29 ნოემბერს ფილარმონიაში საკუთარ მხარდამჭერებთან შეხვედრისას გააკეთა

ვაშაძე არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას მოითხოვს, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები დააკვირდებიან.

მისივე თქმით, ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და კვირას, 1 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციას გამართავს. ვინაიდან გაზეთის ეს ნომერი დასაბეჭდად მომზადებულია პარასკევს, 30 ნოემბერს, ამ აქციის შესახებ ინფორმაციას ვერ გაწვდით.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების გამოცხადების შემდეგ, მოქმედმა პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** პირველი კომენტარი გააკეთა. მან მოქალაქეებს არჩევნებში აქტიურობისთვის მადლობა გადაუხადა.მარგველაშვილმა არჩევნების მეორე ტური შეაფასა და აღნიშნა, რომ დემოკრატიული ხარისხის მკვეთრი ვარდნის გამო შეშფოთებუ-ლია.

***„გუშინდელ არჩევნებზე დაკვირვებით და სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასების ანალიზის საფუძველზე, მინდა შეშფოთება გამოვხატო მეორე ტურში დემოკრატიული ხარისხის მკვეთრი ვარდნის თაობაზე და ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ საქართველოში ასეთი არჩევნები მეტი აღარ უნდა ჩატარდეს ამ სტანდარტით“,***

ბრიფინგის ბოლოს მარგველაშვილმა სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

***„როგორც კი სალომე ზურაბიშვილი დაასახელებს პასუხისმგებელ პირს, ჩვენ მზად ვართ, დავიწყოთ თანამშრომლობა, როგორც ადმინისტრაციული თვალსაზრისით საქმის გადაბარების საკითხზე, ასევე ინაუგურაციის მოწყობის პროცესში მონაწილეობაზე და დახმარებაზე. ღმერთმა დალოცოს ჩვენი საქართველო და გააძლიეროს ჩვენი პრეზიდენტი“.***

საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა რამდენიმე უცხოურ და ქართულ ტელეკომპანიას მისცა ინტერვიუ. **სალომე ზურაბიშვილმა** ჟურნალისტებთან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ის, როგორც წინასწარ იყო ცნობილი, მუშაობას ათონელის რეზიდენციაში აპირებს.

საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა ინტერვიუ **BBC**-ის რუსეთის ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ***„სანამ რუსეთი ასე იქცევა, სანამ საოკუპაციო ხაზიდან ადამიანებს იტაცებენ და ეს ხაზი ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში მოიწევს, თბილისთან სულ უფრო და უფრო ახლოს, სანამ რუსეთი ასე იქცევა უკრაინასთან მიმართებაში, ვფიქრობ რუსეთთან თანამშრომლობაზე ვერ გადავალთ. საქართველოს აქვს პროევროპული პოზიცია და თუ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, აშშ და ევროპა დიალოგს დაიწყებენ რუსეთთან, საქართველო განზე არ გადგება“.***

სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ დაივიწყა, რაც ხდებოდა მის წინააღმდეგ არჩევნებამდე. ამასთან, ის აპირებს ძალიან აქტიური იყოს ხალხთან კომუნიკაციის მიმართულებით რეგიონებში და ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვება დამოუკიდებელ საპრეზიდენტო კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მინისტრმა, **სერ ალან დუნკანმა** მიულოცა ამის შესახებ მან მიკრობლოგთწიტტერ-ზე დაწერა:

***„ვულოცავ სალომე ზურაბიშვილს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას. დიდი ბრიტანეთი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან. მივესალმები არჩეული პრეზიდენტის სურვილს გააერთიანოს საზოგადოება და შეინარჩუნოს დემოკრატიის სტანდარტები, რომლებსაც ქართველი ხალხი მოითხოვს და იმსახურებს“.***

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩმა **კარლ ჰარცელმა** ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური შეაჯამა. მან სალომე ზურაბიშვილს გამარჯვება მიულოცა. ინფორმაციას „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს:

***„ახლა მოვდივარ საკოორდინაციო შეხვედრიდან, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყველა ელჩი და აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ესწრებოდა. მინდა გაგაცნოთ ის დასკვნები, რომლებიც ჩვენ ერთობლივად არჩევნებთან დაკავშირებით შევიმუშავეთ.***

***პირველ რიგში ვულოცავთ, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად არჩევას და გვაქვს იმედი, მომავალში მასთან მჭიდრო თანამშრომლობის. ვულოცავთ ასევე, საქართველოს მოსახლეობას, რომ მან გამოიყენა თავისი ხმის მიცემის უფლება მშვიდი და მშვიდობიანი გზით. მივესალმებით ასევე, არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეფასებას, რომ არჩევნები კონკურენტული იყო და კანდიდატებს თავისუფლად შეეძლოთ კამპანიის ჩატარება. ჩვენ ვიზიარებთ შეფასებას, რომ ეს პროცესი დაზიანდა ერთი მხარის არამართებული უპირატესობის და ორივე მხარის საარჩევნო კამპანიების*** ნეგატიური ხასიათის გამო“.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ახალ არჩეულ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან თანამშრომლობას ელოდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი. – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, **რობერტ პალადინომ** განაცხადა ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე. მისი თქმით, აშშ ასევე ელოდება, რომ საქართველოსთან მჭიდრო პარტნიორობა ორმხრივ და რეგიონულ საკითხებზე გაგრძელდება:

***„აშშ ელოდება საქართველოს არჩეულ პრეზიდენტთან, სალომე ზურაბიშვილთან თანამშრომლობას და საქართველოსთან მნიშვნელოვანი ორმხრივი და რეგიონული საკითხების ფართო სპექტრზე მჭიდრო პარტნიორობის გაგრძელებას, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ავღანეთის მტკიცე მხარდაჭერის მისიაში საქართველოს კონტრიბუციის მხრივ“,*** – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რობერტ პალადინომ ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე.

მეზობელი თურქეთის საგარეო უწყებაში დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები თურქეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს:

***„მივესალმებით საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წარმატებით ჩატარებას. ვიმედოვნებთ, რომ არჩევნების შედეგები სარგებლის მომტანი იქნება ქართველი ხალხისთვის“*** - ეს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაა.

სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა საქართველოში გერმანიის ელჩმაც. **ჰუბერტ ქნირშის** განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში დაძაბული საარჩევნო ბრძოლის შემდეგ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ელჩი იმედს გამოთქვამს, რომ ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებს არჩევნების შედეგს და საქართველო განაგრძობს სვლას ევროპულ გზაზე .

სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა**, ლიეტუვის პრეზიდენტმა **დალია გრიბაუსკაიტემ** და უკრაინის პრეზიდენტმა **პეტრო პოროშენკომ** მიულოცეს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი **ილჰამ ალიევი** სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს.

***„გულწრფელად გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. აზერბაიჯანსა და საქართველოს მეგობრობისა და კარგი მეზობლობის ტრადიციული ურთიერთობა აკავშირებთ. მჯერა, ჩვენ გავაგრძელებთ ძალისხმევას ურთიერთნდობისა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული სტრატეგიული პარტნიორობის გასაძლიერებლად და მომავალ წლებში წარმატებით განვაგრძობთ ყველა სფეროში ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებას“,***

სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში გამარჯვება საქართველოს კიდევ ერთმა მეზობელმა სომხეთმა მიულოცა. სომხეთის პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებლის **ნიკოლ ფაშინიანის** თქმით, საქართველოში პირველი ქალი პრეზიდენტის არჩევა ისტორიული მოვლენაა.

მილოცვებს სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებიც უერთდებიან.




# NDI – გრიგოლ ვაშაძის კამპანია ნეგატიური რიტორიკით ხასიათდებოდა – სააკაშვილს კი კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალება

გრიგოლ ვაშაძის კამპანია ნეგატიური რიტორიკით ხასიათდებოდა. პირველი ტურის მსგავსად, კამპანია სატელევიზიო რეკლამებში ზურაბიშვილს კვლავაც მოღალატედ მოიხსენიებდა და მას რუსულ ინტერესებთან აკავშირებდა, – ამის შესახებ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია საუბარი, რომელიც არჩევნების მეორე ტურს აჯამებს. **NDI** ანგარიშში ასევე აღნიშნავს, რომ სააკაშვილს, როგორც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს, კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალება.

*„ვაშაძის კამპანია ასევე ნეგატიური რიტორიკით ხასიათდებოდა. პირველი ტურის მსგავსად, კამპანია სატელევიზიო რეკლამებში ზურაბიშვილს კვლავაც მოღალატედ მოიხსენიებდა და მას რუსულ ინტერესებთან აკავშირებდა და ქვეყნის უშიშროებისთვის საფრთხედ წარმოაჩენდა. კამპანია აქცენტს კომპეტენტური ხელისუფლების საჭიროებაზე აკეთებდა, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ კატასტროფას აარიდებდა, ხოლო პრეზიდენტობა „უუნარო“ „ქართული ოცნების“ მმართველობის ჩამოშლის გზაზე პირველი ნაბიჯი იქნებოდა. კამპანია ასევე მოიცავდა დაპირებებს პენსიის, მასწავლებლებისა და პოლიციელების ხელფასების გაზრდისა და იპოთეკურ სესხებზე პროცენტის დაწევის შესახებ. ეს დაპირებები გააკრიტიკეს, როგორც პოპულისტური და პრეზიდენტის მანდატთან შეუსაბამო. სააკაშვილს მთელი კამპანიის განმავლობაში მაღალი ხილვადობა ჰქონდა. იგი მედიაში ყოველდღიურად ჩნდებოდა და განცხადებებს აკეთებდა. მათ შორის იყო განცხადებები, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წამყვანმა ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს, როგორც ქსენოფობიური და ანტისემიტური. აღსანიშნავია, რომ სააკაშვილს, როგორც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს, კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალება“,* – ნათქვამია ანგარიშში.

**„მარშალ პრესი“**

# როგორ თბება ბაღები ოზურგეთში?



*ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებიდან მხოლოდ რამდენიმეშია ცენტრალური გათბობა. უმეტესობა კი შეშის ღუმელით და ე.წ. ბრიკეტებით (დაპრესილი ბიოსაწვავი, რომელიც სატყეო და სოფლის მეურნეობის ნარჩენებისაგან მზადდება) თბება. ახალ-აშენებულ ბაღებში გათბობის სისტემებს ტექნიკური პრობლემები ჰქონდა. ა(ა)იპ-ი სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი, მაკა ჭყ-ონია გვეუბნება რომ ამ ეტაპზე საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი.*

**მაკა ჭყონია:** იყო პრობლემები რამდენიმე ბაღში. მაგალითად სოფელ ოზურგეთში, ჭანიეთში, ბახვში, ანასეულში, ლიხაურში. ზოგან თვითონ პროექტში იყო ხარვეზი, ზოგან ბუნებრივი აირის მილები იყო არასაკმარისი, გაზი იწვებოდა მაგრამ სი-თბო პრაქტიკულად არ გამოიყოფოდა.

**—როგორ მოხერხდა პრობლემის მო-გვარება?**

—ავიყვანეთ სპეციალისტი, შევის-წავლეთ პრობლემა. გამოვცვალეთ თუკი რამე დეტალი იყო გამოსაცვლელი.

**—მაგალითად ვიცით რომ სოფელ ოზურგეთის ბაღში საჭიროზე მცირე ზომის გაზის მილები დამონტაჟდა და საკმარისი რაოდენობის ბუნებრივ აირს ვერ ატარებდა. ამ შემთხვევაში რა გააკეთეთ?**

—როგორც მახსოვს აღნიშნულ ბაღში მხოლოდ ერთი გაზის მილი იყო და მეორე დავამატეთ. ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს გაღმა დვა-ბზუს ბაღში. აქ ბაღი კერძო სახლშია ორ სართულზე განთა-სებული. შესაბამისად ორი საქვაბე იყო, აქედან, ერთი მუშაობდა მეორე არა.

**—სკოლამდელი სააღმზრდელო და-წესებულებების შენობები რა მდგო-მარეობაშია? შესაძლებელია შესაფერისი კლიმატის შექმნა? მაგალით-ად, კარ-ფანჯრები სითბოს იკავებენ?**

—ბაღების უმეტესობა შეესაბამება სტანდარტებს. ახალ გარემონტებულ ბაღებს კარ-ფანჯრებიც ახალი აქვს.

**—მაგრამ ხომ არის ბაღების ძველი შენობებიც?**

—არის ბაღები რომლებიც ადმინისტრაციულ შენობებშია განთავსებუ-ლი. მაგალითად მერიის, მთისპირის, თხინვალის ბაღი. შესაბამისად, ამ შემთხვევებში არ არის ის სტანდარტი რაც უნდა იყოს. ჯუმათის ბაღიც ადმინისტრაციულ შენობაშია, მაგრამ საკმარისია ფართიც და შესაბამისადაა მოწყობილიც. მაგრამ მერიაში კონტიგენტი უფრო მეტია ვიდრე ფართი იტევს. ასეა თხინვალშიც, მთისპირში ამბულატორიის შენო-ბაშია ბაღი. ამიტომ 2020-2022 წლებში ჩამოთვლილ სოფლებში ბაღების ახალი შენობები უნდა აშე-ნდეს.

**ჭყონიას თქმით 2019 წელს ბიუჯეტში თანხა იქნება გათვ-ალ-ისწინებული სხვადასხვა ინვენტარის შესაძენად რომელიც ბაღებზე საჭ-იროებების მიხედვით გადანაწილდება. ამ ეტაპზე კი 254 000 ლარის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს 33 საბავშვო ბაღში.**

**სასიამოვნო სიახლეებით თუ პრობლემებით ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები ახ-ალი წლისთვის ემზადებიან. როგ-ორც გაერთიანების დირექტორმა გვითხრა ბავშვებისთვის გადასაცემი საჩუქრების შესაძენად ტენდერი უკვე გამოცხადდა. ტენდერის თანხა 13 585 ლარს შეადგენს. ამ თანხით საჩუქრები გადაეცემაჩვენი მუნიციპალიტეტის ბაღებში რეგისტრირებულ 2717 ბავშვს.**

ესაუბრა **მარი კოძოევი**



# „მოგზაურობა ოზურგეთში" - დასკვნითი პრეზენტაცია

26 ნოემბერს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დასკვნითი პრეზენტაცია. პროექტისა „მოგზაურობა ოზურგეთში" პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა, ენახა 14 ახალი ვიდეორგოლი, რომელთა შესაქმნელად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი და ტექნიკური სამუშაოებია შესრულებული. გადამღებმა ჯგუფმა გამოავლინა ნამდვილი პროფესიონალიზმი, ორიგინალურად, განსხვავებული რაკურსებით წარმოგვიჩინა ოზურგეთის ღირშესანიშნავი ადგილები, ბუნებრივი ძეგლები და საოჯახო სასტუმროები. ვულოცავ მათ, ვინც მაღალი შეფასება მისცა ამ ვიდეორგოლებს და აქვე გამოვთქვამ რამდენიმე პირად მოსაზრებას, რაც არამც და არამც არ გახლავთ შენიშვნა, უფრო რჩევაა, რომელიც შესაძლოა შემდგომ მუშაობაში გაითვა-ლისწინონ ახალგაზრდა კოლეგებმა:

- ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ ამ სარეკლამო ვიდეორგოლების სათაურები და ტიტრები, ინგლისური ენის პარალელურად, ქართულ ენაზეც იქნება შესრულებული. რამდენადაც ვიცი, სარეკლამო კანონი ასეთ რამეს არ ითვალისწინებს, მაგრამ ქართული ენა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები იმსახურებენ ამის პატივს;

- მხოლოდ ლამაზი ხედებით და პანორამებით ვერ მოვიზიდავთ ვერც ადგილობრივ და ვერც უცხოელ ტურისტებს. ადამიანები უნდა აცოცხლებდნენ ამ კადრებს.

- ეკომუზეუმზე შექმნილ ვიდეორგოლში, მართალია, ჩამური ნაჩვენებია მუშა რეჟიმში, თუმცა უცხოელი მაყურებლისათვის (არა მხოლოდ) გაუგებარი რჩება, რაში გამოიყენება ის. - ქოთნიდან ლობიოს იღებენ ხის და არა რკინის კოვზით. შუა ცეცხლთან, კეცის არევისას, ჩანს დამწვარი და არა გამომცხვარი პროდუქცია. ორივე კადრი აუცილებლად შესაცვლელია

- ვიდეორგოლები მუსიკალურად კარგად არის გაფორმებული, თუმცა, ჩემი აზრით, ზოგიერთ დოკუმენტურ კადრებს ინტერვიუები უფრო მოუხდებოდა. როგორც პრესრელიზშია ნათქვამი, გარდა ტურისტულად საინტერესო ლოკაციებისა, ვიდეორგოლების მეშვეობით მეტს შევიტყობთ იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც საოჯახო სასტუმროს ბიზნესი წამოიწყეს და წარმატებით განავითარეს.



პროექტის „მოგზაურობა ოზურგეთში" მი-ზანი უცნობი ტურისტული რესურსების აღმოჩენა, მათი პოპულარიზაცია და საზოგადოებისა და დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის დაზუსტებული ტურისტული მარშრუტების მიწოდებაა.

მსგავსი აქტივობები, ხელს შეუწყობს რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას და მის ეკონომიკურ გაძლიერებას. ამ მხრივ, მცირე განთავსების ობიექტების ბიზნესის წამოწყება და მისი განვითარება ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარება გაიუმჯობესოს საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მოახდინოს ადგილზე წარმოებული პროდუქტის რეალიზება და პოპულარიზაცია. აღნიშნული პროექტი, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს, უპრეცედენტოა და მიზნად ისახავს გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. პროექტს ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები ახორციელებს ორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა და ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრ -„პროგრესის სახლთან"ერთად.

**თემურ მარშანიშვილი**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ისტორიული მუზეუმის ერთობლივი პროექტის „მე მიყვარს ჩემი ქალაქის ისტორია" გამარჯვებული

# მე ვიცი ჩემი ქალაქის ისტორია

*„ საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოების ისტორია. უნდა იცოდეს უტყუარი ისტორია და არა გაზვიადებული და ყალბი."*
**ი. ჯავახიშვილი**



მე, გიგა ჭალალიძე, ხუთი წლის წინ ჩამოვედი კახეთიდან ოჯახით საცხოვრებლად ოზურგეთში, სოფელ ცხემლისხიდში და ამის შემდეგ ვსწავლობ ამ ქალაქის ისტორიას. ისტორიის შესწავლა გურიის სიყვარულმა გადამაწყვეტინა. ბევრი წავი-კითხე, ბევრი მოვიძიე, ბევრ გამოჩენილ ადამიანს შევხვდი, მგონი რაღაც სიახლე ვნახე.

ოზურგეთი გურიის დედაქალაქია. სიტყვა ოზურგეთი სვანურიდან წარმოდგება. მისი შორეული წინაპარი მდინარე ბჟუჟის მარჯვენა სანაპიროზე გაწოლილი სერია, სადაც მამამთავრული სახლის ნაშთებია გამოვლენილი. ამ უძველეს საცხოვრისს შემდეგ დაბურული დასახლება მოჰყვა, რომელიც მოგვიანებით მცირე ქალაქად იქცა.

მეათე საუკუნის მიწურულიდან ოზურგეთი ჯერ გურიის მთავარ ერისთავის სარეზიდენციო ადგილი იყო, ხოლო შემდეგ მე-15 საუკუნიდან გურიის მთავრის პოლიტიკურ ცენტრად გადაიქცა. სახელწოდება ქალაქი ოზურგეთი 1578 წლიდან მოკიდებული, მრავალგზის იხსენება, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში.

თუმცა, შესაძლებელია, ქალაქის დაარსების თარიღი უფრო დაძველდეს. ამის საშუალებას იძლევა არქეოლოგიური გათხრ-ების გაგრძელება ქალაქის ცენტრში, ისტორიული მუზეუმის მახლობლად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა ოზურგეთის ისტორიაში სტამბის დაარსება გახლდათ. ოზურგეთი საქართველოში მეოთხე ქალაქი იყო თბილისის, ბათუმის და გორის შემდეგ სასტამბო საგამომცემლო საქმის წამოწყებისა და წარმატებით განხორციელებით. ამ უაღრესად მნიშვნე-ლოვანი და რთული საქმის მოთავენი იყვნენ გამოცდილი სპეციალისტები, რომლე-ბიც სტამბაში მუშაობდნენ. ესენი იყვნენ: ალფეს მიქელაშვილი და კოწია თავართქილაძე, აგრეთვე დიომიდე კილაძე. ოზურგეთის სტამბაში იბეჭდებოდა სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებები. ამ წიგნების გამოფენა ნა-ნახი მაქვს დვაბზუს შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ოზურგეთის მშვენებაა ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი რომელიც ნეოლითიდან დაწყებული დღემდე საინტერესო მასალითაა აღსავსე. ჩვენი ქალაქი ფოლკლორის ქალაქად იქცა. მუზეუმში წარმოდგენილი გურული სიმღერებისა და საგალობლების შემსრულებელთა შორის არიან : ფილიმონ ქორიძე, (მისი შესრულებული „კრიმა-ნჭული", „ყანური ანუ ნადური", „ელესა".) და მიხეილ შავიშვილი, რომელიც იყო „კრიმანჭულის" უბადლო შემსრულებელი.

კრიმანჭული კონკრეტული სიმღერის ერთი წამყვანი ხმაა, მაგრამ როგორც ღიღინი, ისე კრიმანჭულიც ზოგჯერ ერთპირ-ოვნულია. მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა კრიმანჭულობდა ტყეში, ყანაში და გზაში. კრიმანჭულს იწვევდა მარტოობა ან შიში. კრიმანჭულობდა, შიში უქრებოდა, არ მოიწყენდა, არ ჩამოეძინებოდა. კრიმანჭული უფრო ხშირად ჭაბუკების საქმე იყო.

ღამით მოზარდს სადმე წასვლას რომ დაავალებდნენ, ასე ეტყოდნენ წაიკრიმანჭულე და ისე წადიო. კრიმანჭულობდა ძროხისა და თხის მწყემსი ახალგაზრდა. თუ მას მოპირდაპირე მხრიდან მეორე ტოლი გამოეკრიმანჭულებოდა, ეს მომაგონებდა ორი მწყემსის სოინარით ან სალამურით შეჯიბრებას. კრიმანჭული დიდი სასიამოვნო მოსასმენი იყო, მეტადრე მყუდრო მთვარიან ღამეში, ზოგჯერ კრიმანჭული შეყვარებულთა საპაემნო ნიშანი იყო.

კრიმანჭული სიმღერაა, რომელიც შეგუებული, შეხამებული, მისადაგებული, შეხმატბილებულ იყო შრომა-გარჯილობასთან, აადვილებდა და მეტად ნაყოფიერს, ბარაქიანს ხდიდა შრომას, აძლევდა მას შინაარსს და ხალისს, ზარმაცს ამუშავებდა, ლაჩარს ამხნევებდა, დაღლილს ძალ-ღონეს მატებდა, ხორციელად ამხნევებდა, სულიერად აკეთილშობილებდა.

„დედამიწის ზურგზე სანამ მუსიკალური ბგერა ბულბულის მომხიბლავ სტვენად ამაღლდებოდა და შემდგომში ადამიანის ყელის ხმათა კრიმანჭულით დაგვირგვინდებოდა, პირველი მომღერალი, ანუ ხმის გამომცემი ჯუჯუმკალი იყო... „ შენიშნავდა შალვა დადიანი. სხვა რომ არაფერი ეთქვა სახელოვან მოღვაწეს, მისი ნიჭისა და წვდომის ხარისხის ნათელსაყოფად ეს გამონათქვამიც იკმარებდა.

კრიმანჭული მართლაც გვირგვინია ადამიანის მუსიკალურ ხმათა და ამის გამოც შერქვა „მსოფლიოს მერვე საოცრება" .

დედამიწის ზურგზე კრიმანჭული მხოლოდ ერთი ერის მუსიკალური კულტურის მონაპოვარია და მთელი კაცობრიობა დიდი აღტაცებითა და საოცრებით იმსჭვალება მის მიმართ.

ვის არ უცდია ამ ხმის წარმოქმნისა და განვითარების საიდუმლოს ამოხსნა, ქა-რთველს, რუსს, გერმანელს, ამერიკელს თუ სხვას. მაგრამ ჯერჯერობით იგი მეცნიერული სრულყოფით მაინც არ არის შესწავლილი. ამ ხმის მეცნიერული კვლევა ძირითადად მუსიკათმცოდნეთა საქმეა, მაგრამ, რადგან სათანადო ლიტერატურაში კრიმანჭული დღემდე არ არის შესწავლილი, ამიტომაც კვლევაში ნე-ბისით თუ უნებლიედ ებმებიან სხვა დარგების მკვლევარებიც, ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, საერთოდ კულტურის ისტორიით დაინტერესებული პირები. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე გახლდათ ვანო შილაკაძე, პროფესორი, ქართველოლოგი, არმენისტი, ჩინებული მომღერალი.

ის გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაინტერესდა ქართული მუსიკალური ფოლკლორით და თავისი ძიების შედეგ-ები 1949 წელს გამოიტანა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ეს მოხდა მშვენიერი წიგნით, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ წიგნში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი კრიმანჭულსაც.

ტერმინი კრიმანჭული შექმნილია კარგა ხნის წინათ. ოზურგეთში ხუთასამდე მოკრიმანჭულე იყო, მიხეილ შავიშვილი და მისი და ჟუნია ძალზე ცნობილი მოკრიმანჭულეები იყვნენ. ოზურგეთში მოქმედებ- და ქართული ხალხური სიმღერების უხუცესთა გუნდი„ რომლის ერთ-ერთი წევრი იყო თეოფილე დარჩია მოკრიმანჭულე, ,რომელიც ეძებდა და ასწ-ავლიდა ახალგაზრდა მოკრიმანჭულეებს. იგი ამბობდა, რომ კრიმანჭული სულის და გულის წამალია, ვინც კრიმანჭულობს, იგი დიდხანს ცოცხლობს. ოჯახში ეხუმრებოდნენ, არ იმუშაო თეოფილე, და ჭამე კრიმანჭულიო. მოკრიმანჭულეები განსაკუთრებული ჩაცმულები იყვნენ. თეოფილე დარჩიას სამოსი ვნახე შ. რადიანის მუზეუმში.

კრიმანჭულის შესახებ საკითხი იმდენად მაინტერესებს, რომ მე ამაზე მუშაობას ვაგრძელებ.

არანაკლებ საინტერესოა ჩემთვის ალეგრობის დღესასწაული. ოზურგეთელებს დიდი ხნიდან უგემნიათ სახალხო საქველმოქმედო დღესასწაულის სიტკბო. ალეგრობის დამკვიდრების ისტორია- გურიაში გურიის უკანასკნელი მთავრის მამია მე- 5 გურ-იელის დროიდან დაწყებულა, რომლის სასა-ხლე იმ დროის ევროპული კულტურის სალონი ყოფილა. ალეგრო იტალიური შინაარსის სიტყვაა, მხიარულს, მრავალფეროვანს ნიშნავს და მასობრივ დღესასწაულს. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღესაც გრძელდება. იყო ჩავარდნები გარკვეული მიზეზების გამო. სხვადასხვა წლების ეპოქის ალეგრობებს ჩაქურიან-ყაბალახიანი , ულვაშაწკეპილი გურული ვაჟკაცებიც ახსოვთ. ახსოვთ ვალსის მოცეკვავე გოგონები, სეირნობა, ქალ-ვაჟთა გადანაცხულება. მუშაობდა „სიყვარულის ფოსტა", „ ბედის კასრი". იმართებოდა შეჯიბრი ცეკვებში. უხუცეს ოზურგეთელებს ახსოვთ, როგორი პრიზები რიგდებოდა ლამაზი მანდილოსნებისთვის და როგორ სეირნობდნენ ოზურგეთის ქუჩებში ფაეტონით.

როგორც გავიგე, ოზურგეთში უყვართ ძველ ამბების გახსენება, უყვართ იუმორი. აქ, ამ ქალაქში იმდენად საინტერესო ამბებია, ერთი მხრივ თეატრი, ჭადრების ბაღი, ისტორიული მუზეუმი და ბევრი სხვა რამ, რაზედაც ბევრია სათქმელი და რასაც ბევრი დრო სჭირდება.

# აჯანყება გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით




**1.აჯანყების მიმდინარეობა გურიაში.**

1819 წლის გაზაფხულიდან იმერეთში მიმდინარე მღელვარების დროს გურიის სამთავროში შედარებით სიმ-შვიდე იყო, თუმცა რუსეთის ხელისუფლება ეჭვობდა, რომ **მამია V გურიელი** იმერეთის თავადებსა და აზნაურებს თა-ნაუგრძნობდა. რუსები განსაკუთრებული ეჭვით უყურებდნენ გურიის მთავრის ბიძას, სამთავროს ყოფილ მმართველ ქაიხოსრო გურიელს, რომელიც თავის ანტირუსულ განწყობილებას არც მალავდა. იმერეთიდან დევნილი თავად ივანე აბაშიძის მეუღლე გურიის მთავრის და იყო. რუსების მიერ დევნილმა თავადმა იცოდა, რომ მისი შეფარებისათვის მამია გურიელს რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაეძაბებოდა. ამიტომ იყო, რომ ივანე აბაშიძემ თავი ცოლისძმას კი არ შეაფარა, არამედ ცოლის ბიძას — ქაიხოსრო გურიელს. ქაიხოსრო თავს იმით იმართლებდა, რომ იმერეთიდან დევნილი ივანე აბაშიძე აჭარაში აპირებდა გადასვლას, რის გამოც მან უმჯობესად მიიჩნია თავადი თავისთან მიეწვია და შემდეგ რუსეთის ხელისუფლებასთან შეერიგებინა. ცხადია, რუსები ყოველივე ამას არ ერწმუნებოდნენ. გარდა ამისა, გავრცელდა ხმები, რომ გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, **მამია გურიელსა** და **ლევან დადიანს,** ახალციხის ფაშასთან ჰქონდათ მოლაპარაკება. საქართველოს სამოქალაქო ნაწილის მმართველმა ველიამინოვმა იმერეთის მმართველ კურნატოვსკის უბრძანა დაედგინა გავრცელებული ხმების ნამდვილობა. კურნატოვსკის წარმომადგენელთან შეხვედრისას ახალციხის ფაშამ განაცხადა, რომ იმერეთის თავადები, სამეგრელოსა და გურიის მთავრები ოსმალეთის მთავრობას მფარველობას და იარაღით დახმარებას სთხოვდნენ, ხოლო რუსებთან ბრძოლაში დამარცხების შემთხვევაში — ოსმალეთის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლებას. ახალციხის ფაშამ კურნატოვსკის წარმომადგენლებს ისიც განუცხადა, რომ იმერელი თავადების, მამია გურიელისა და ლევან დადიანის თხოვნის შესახებ მან სულთანს აცნობა, ხოლო სულთნისაგან ნებართვის მიღებამდე, ოსმალეთში არსებული წესის თანახმად, იგი ვალდებული იყო მთხოვნელთათვის დახმარება აღმოეჩინა. ახალციხის ფაშას იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს საქმეებში ჩარევა რუსეთის ხელისუფლებისათვის საშიში იყო. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს ჩარევა გამოერიცხა.

კავკასიის მთავარსარდალი ალექსეი ერმოლოვი ძალზე შეაშფოთა იმერეთის მმართველ ივან კურნატოვსკის 1820 17 იანვრის მოხსენებამ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იმერეთში აჯანყება მზადაა და იგი პირველი დაძახილისთანავე დაიწყებაო. იმერეთში თავადებმა და აზნაურებმა კვლავ დაიწყეს გლეხების შეკრება, რაჭის ოკრუგში დაახლოებით 500 შეიარაღებული ადამიანი სოფელ-სოფელ დადიოდა და მოსახლეობას აფიცებდა, რომ ბრძოლაში ბოლომდე ერთად დარჩებოდნენ. კურნატოვსკის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ იმერეთის მეუფეები, თავადები და აზნაურები თავიანთ სამოქმედო გეგმას არ ამჟღავნებდნენ, ამ გეგმის ცალკეული დეტალების შესახებ იმერეთის მმართველი უბრალო ხალხისაგან (გლეხებისაგან) იღებდა ცნობებს. კურნატოვსკი უკვე მერამდენედ აღნიშნავდა, რომ ლევან დადიანისა და მამია გურიელის ნდობა არ შეიძლებოდა, ორმაგ თამაშს ეწეოდა თავადი ზურაბ წერეთელიც. იმერეთის მმართველის აზრით, ჯერჯერობით მხოლოდ თავად ქაიხოსრო წერეთლის ნდობა შეიძლებოდა. ერმოლოვმა კარგად უწყოდა, რომ რუსების წინააღმდეგ იმერეთის მოსახლეობის აჯანყება შეეძლოთ მიტროპოლიტ **დოსითიოზეოს ქუთათელსა** და მიტროპოლიტ **ეფვთიმი გენათელს**. ამასთან ერთად, 1820 წლის 22 იანვარს ერმოლოვი ველიამინოვს ავალებდა, დაუყონებლივ დაეპატიმრებინა თავადი ივანე აბაშიძე. კავკასიის მთავარსარდალი ველიამინოვს სწერდა, რომ ძალზე უკმაყოფილო იყო იმერეთის მმართველ გენერალ-მაიორ ივან კურნატოვსკის მოქმედებით და აუცილებლად მიიჩნევდა მის გადაყენებას და ახალი მმართველის დანიშვნას. 1820 წლის თებერვალში იმერეთის მმართველად ეგერთა 44-ე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი **ივან პუზირევსკი** დაინიშნა. პირველსავე დღეებში ველიამინოვმა იმერეთის ახალ მმართველს დაავალა შემოქმედის ციხეში მყოფი ივანე აბაშიძის შეპყრობა. ველიამინოვი აღნიშნავდა, რომ უმჯობესი იქნებოდა ქაიხოსრო გურიელს თავისი ნებით გადაეცა ივანე აბაშიძე რუსეთის ხელისუფლებისათვის. პუზირევსკიმ ქაიხოსრო გურიელს აცნობა, რომ თუ იგი ივანე აბაშიძეს რუსებს ნებაყოფლობით გადასცემდა, მას ყველა დანაშაულს აპატიებდნენ და სასჯელად მხოლოდ რუსეთში გადასახლებას დაუწესებდნენ. ქაიხოსრო გურიელის მიერ ივანე აბაშიძის შეფარებამ, ცხადია, ეჭვის ქვეშ დააყენა გურიის მთავრის რუსეთისადმი ერთგულება. მიუხედავად ამისა, ალექსეი ერმოლოვი ცდილობდა მამია გურიელი ბიძის, ქაიხოსრო გურიელის წინააღმდეგ გამოეყენებინა. 1820 წლის 12 აპრილს კავკასიის მთავარსარდალი მამია გურიელს სწერდა, რომ ქაიხოსრო გურიელის მოქმედებამ მისი ავტორიტეტი ვერ შეარყია და რუსეთის ხელისუფლება კვლავაც ნდობას უცხადებდა გურიის მთავარს. ამასთან ერთად, ერმოლოვი აღნიშნავდა, რომ ვერ დაუშვებდა მამია გურიელისათვის ხელისუფლების გაყოფას. ცხადია, ერმოლოვი ქაიხოსრო გურიელს გულისხმობდა, რომელიც მამია გურიელს არ ემორჩილებოდა, რასაც ბიძასა და ძმისშვილს შორის ურთიერთობის დაძაბვა მოჰყვა.

1820 წლის 6 აპრილს საქართველოს სამოქალაქო ნაწილის მმართველმა ივან ველიამინოვმა ქაიხოსრო გურიელს მოსთხოვა დაუყონებლივ ჩასულიყო ქუთაისში და როცა ამ უკანასკნელისაგა უარი მიიღო, პოლკოვნიკ ივან პუზირევსკის უბრძანა გურიის სამთავროში ჯარი შეეყვანა, ქაიხოსრო გურიელი ან შეეპყრო ან გურიიდან განედევნა. პუზირევსკი 44-ე პოლკის 1 ასეულით და 2 ზარბაზნით სოფელ **მარნიდან** სოფელ **შემოქმედისაკენ** დაიძრა. 1820 წლის 13 აპრილს პუზირევსკიმ ეგერთა ასეული და 2 ზარბაზანი პოდპოლკოვნიკ **ზგორელსკის** მეთაურობით **ჩოხატაურში** დატოვა და კაზაკთა მცირე რაზმით **შემოქმედის** ციხისაკენ გაემართა, სადაც იმ დროს ქაიხოსრო გურიელი და ივანე აბაშიძე იმყოფებოდნენ. ციხეში შესულ პოლკოვნიკს იქ არცერთი არ დახვედრია, ციხე საერთოდ დაცლილი იყო. შემოქმედის ციხიდან უკან გამობრუნებული პუზირევსკი სამ შეიარაღებულ გურულს (მეორე ცნობით, შეიარაღებული გურულების არცთუ მრავალრიცხოვან რაზმს) შეხვდა. პოლკოვნიკმა გურულებს ასე მიმართა:

**— სად არის ქაიხოსრო გურიელი? რატომ აჩერებს ის თავისთან მოღალატე თავად ივანე აბაშიძეს?** რუსული ისტორიოგრაფიის მტკიცებით ამ კითხვას სამმა გურულმა, გასროლით უპასუხა. სასიკვდილოდ დაჭრილი პოლკოვნიკი ივან პუზირევსკი ცხენიდან ჩამოვარდა, ერთი დაჭრილი კაზაკიც ასევე ჩამოვარდა ცხენიდან, რომელიც ხანჯლით მოკლა ერთ-ერთმა გურულმა. ერთი რუსი ოფიცერი კაზაკთან ერთად გურულებმა ტყვედ აიყვანეს და ქაიხოსრო გურიელს მიჰგვარეს. რუსული წყაროდან ირკვევა, რომ პუზირევსკი სასიკვდილოდ აზნაურმა **იოთამ ბოლქვაძემ** დაჭრა, რომელიც ქაიხოსრო გურიელს ივან პუზირევსკის თოფითა და ხმლით დაუჯილდოვებია. იმერეთის მმართველ პოლკოვნიკ პუზირევსკის მკვლელობის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. იოთამ ბოლქვაძის დაკითხვის ოქმის დედანი შემონახული არ არის, მაგრამ XIX საუკუნეში მოღვაწე რუსმა ისტორიკოსებმა სხვადასხვა წყაროს შეჯერების შედეგად ასეთი სურათი აღადგინეს: 1829 წლის 13 აპრილს პოლკოვნიკი ივან პუზირევსკი შემოქმედის ციხეში შევიდა. ქაიხოსრო გურიელი ამ დროს მეზობელ სოფელში იმყოფებოდა. ქაიხოსრომ რუსთა რაზმის გამოჩენის ამბავი რომ შეიტყო, იოთამ ბოლქვაძე და კიდევ ორი გურული სოფელ შემოქმედში მოსახლეობის გასაფრთხილებლად გაგზავნა. წარგზავნილები პოლკოვნიკ პუზირევსკის მაშინ შეხვდნენ, როდესაც ის შემოქმედის ციხიდან უკან ბრუნდებოდა. ივან პუზირევსკის გურულებისათვის ასე მიუმართავს: **სად არის ძაღლიშვილი ქაიხოსრო?** იმავდროულად, პოლკოვნიკს იოთამ ბოლქვაძისათვის მათრახიც გადაურტყამს. შეურაცხყოფილ იოთამ ბოლქვაძეს თოფი უსვრია და სასიკვდილოდ დაუჭრია ივან პუზირევსკი. ფერდში დაჭრილი პუზირევსკი ცხენიდან ჩამოვარდნილა. ერთ-ერთი კაზაკი იოთამ ბოლქვაძეს მივარდნია, მაგრამ ამ უკანასკნელს მისთვის ხმლით ჭრილობა მიუყენებია, მეორე გურულს კი ხანჯლით მოუკლავს დაჭრილი პოლკოვნიკი. პრაპორშჩიკი **ტატიშვილი** და თარჯიმანი, ვინმე **მერაბი,** გურულებს ტყვედ აუყვანიათ და შემოქმედის ციხეში წაუყვანიათ.

სხვაგვარად წარმოაჩენდა მომხდარს ალექსეი ერმოლოვი. 1820 წლის 22 აპრილს იმპერატორისათვის გაგზავნილ მოხსენებაში იგი წერდა: გურიაში განლაგებული სამხედრო საგუშაგოების დათვალიერებისას პოლკოვნიკმა ივან პუზირევსკიმ განიზრახა ქაიხოსრო გურიელის კუთვნილ შემოქმედის ციხის დათვალიერება. ქაიხოსრო გურიელი ცნობილი იყო რუსებისადმი სიძულვილით, ხელისუფლებისაგან დევნილი თავად ივანე აბაშიძე სწორედ ამიტომ შეიფარა. ქაიხოსროს სახლში მყოფმა შეიარაღებულმა ხალხმა მცირერიცხოვანი რაზმით იქ მისული ივან პუზირევსკი შეიპყრეს და შემოქმედის ციხეში ქაიხოსრო გურიელს მიჰგვარეს. ერმოლოვის მოხსენების მიხედვით, 1820 წლის 13 აპრილს პოლკოვნიკი ივან პუზირევსკი შემოქმედის ციხეში მოუკლავთ. რუსული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, იოთამ ბოლქვაძეს ივან პუზირევსკის მოკვლა ქაიხოსრო გურიელმა დაავალაო და ამის საბუთად ის მოჰყავთ, რომ მოკლულის თოფი და ხმალი ქაიხოსრო გურიელმა იოთამ ბოლქვაძეს აჩუქა. ეს ვერსია სინამდვილეს არ შეეფერება, ქაიხოსრო გურიელი ჭკვიანი კაცი იყო და მან კარგად იცოდა, რაც მოჰყვებოდა იმერეთის მმართველის მკვლელობას. ეს ხომ შესანიშნავი საბაბი იქნებოდა გურიის დარბევისათვის..

ივან პუზირევსკის ნაცვლად იმერეთის მმართველად ალექსეი ერმოლოვის ერთ-ერთი უახლოესი თანამოზრე პოლკოვნიკი **პიოტრ გორჩაკოვი** დაინიშნა.

შეიტყო თუ არა პოლკოვნიკ ივან პუზირევსკის მკვლელობის ამბავი, ჩოხატაურში მყოფი პოდპოლკოვნიკი **ზგორელსკი** სოფელ მარანში დაბრუნდა და იქ მყოფ ეგერთა 44-ე პოლკის ბატალიონთან ერთად კვლავ გურიაში გაემგზავრა, სადაც მას ეგერთა ერთი ასეული შეუერთდა. პოდპოლკოვნიკი ზგორელსკი ქაიხოსრო გურიელის მიერ მოწყობილ ჩასაფრებას წააწყდა, ბრძოლაში რამდენიმე მებრძოლი დაკარგა და იძულებული გახდა უკან დაეხია.

1820 წლის აპრილიდან გურიის დიდ ნაწილში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულთა შეიარაღებულმა რაზმებმა ალყაში მოაქციეს პოდპოლკოვნიკ ზგორელსკის ეგერთა 44-ე პოლკის ბატალიონი, რომელიც შემოქმედის ციხისაკენ ცდილობდა გაჭრას. ბრძოლაში რუსებმა 33 ოფიცერი და ჯარისკაცი დაკარგეს, რის შემდეგაც უკან დაიხიეს და ოზურგეთს შეაფარეს თავი. 1820 წლის 19 აპრილს აჯანყებულებმა გააფთრებული ბრძოლი შემდეგ **ჩოხატაური** დაიკავეს და იქ გამაგრებული რუსების დიდი ნაწილი დახოცეს. 1820 წლის მაისის დასაწყისში აჯანყებულ გურულებს კიდევ რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ რუსეთის ჯართან. 1820 წლის 2 მაისს პოდპოლკოვნიკმა ზგორელსკიმ ბრძოლაში დაჭრილი რუსი ჯარისკაცები და დაპატიმრებული აჯანყების მონაწილე გურულების ერთი ჯგუფი ეგერთა 2 ასეულისა და 30 კაზაკის თანხლებით შტაბს-კაპიტან **ორბელიანის** მეთაურობით სოფელ მარნიდან ქუთაისში გაგზავნა. გზაზე რუსები მრავალრიცხოვანი გურულების ჩასაფრებას წააწყდნენ, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. შტაბს-კაპიტანმა ორბელიანმა ქუთაისიდან დამატებითი ძალა გამოითხოვა. ორბელიანის დასახმარებლად მალევე მივიდა რუსთა რაზმი კაპიტან ვოინოვის მეთაურობით. ორბელიანმა და ვოინოვმა აჯანყებულთა დამარცხება ვერ შეძლეს. რუსეთის ჯარის დასახმარებლად ქვეითთა კიდევ 2 ასეული მოვიდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს რუსებმა აჯანყებულთა ალყის გარღვევა და სოფელ მარანში შეღწევა. რუსებმა ბრძოლაში 1 ზარბაზანი დაკარგეს. მართალია აჯანყებულმა გურულებმა ტყვე თანამებრძოლები ვერ გაათავისუფლეს, მაგრამ რუსეთის ჯარს სერიოზული ზიანი მიაყენეს, რამაც კიდევ უფრო წაახალისა აჯანყებულები.

1820 წლის 9 ივლისს ცალკეული კავკასიის კორპუსის შტაბის უფროს გენერალ-მაიორ ალექსეი **ველიამინოვის (ველიამინოვ II-ის)** მეთაურობით ქუთაისიდან რუსეთის ჯარი სოფელ მარნის გავლით გურიისაკენ დაიძრა. გურიის დასარბევად გამოყოფილი ჯარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ალექსეი ველიამინოვის დაქვემდებარებაში 3.200 ოფიცერი და ჯარისკაცი და 150 კაზაკი იყო, ჯარს შეიარაღებაზე გააჩნდა 7 ზარბაზანი. ამჯერად გურულებს რუსეთის ჯარისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. რუსებმა შეიტყვეს, რომ ქაიხოსრო გურიელი ძმასთან, დავით გურიელთან, ერთად შემოქმედის ციხეში იმყოფებოდა. 23 ივლისს რუსეთის ჯარი შემოქმედის ციხისაკენ დაიძრა და მეორე დღეს ციხეს შემოადგა. ქაიხოსრო გურიელი ამ დროს ციხეში არ იმყოფებოდა, იქ მხოლოდ აჯანყებულთა დასახმარებლად მოსული აჭარლები იყვნენ. რუსებმა ზარბაზნების გამოყენებით ციხის კარები შეანგრიეს. იმავდროულად მათ ციხის საიდუმლო კარს მიაგნეს და ციხეში შეიჭრნენ. აღმოჩნდა, რომ დამცველებს ცოტა ხნით ადრე დაეტოვებინათ ციხე. რუსებმა იქ მხოლოდ 5 კაცი იპოვეს, რომლებიც ხიშტებზე ააგეს. დამსჯელებმა ბრძოლაში მოკლულთა სახით 15, ხოლო დაჭრილთა სახით 52 კაცი დაკარგეს. ალექსეი ერმოლოვის ბრძანების თანახმად, შემოქმედის ციხე დაანგრიეს, ხოლო მახლობელი სოფლები გადაწვეს. შემოქმედის ციხის აღების და სოფლების გადაწვაში რუსებს დიდი დახმარება აღმოუჩინა თავადმა **კაცია ნაკაშიძემ.** გურიის სამთავროში გენერალ-მაიორ ალექსეი ველიამინოვის (ველიამინოვ II-ის) მეთაურობით რუსეთის ჯარის შესვლას უნდობლობით შეხვდა **მამია V გურიელი.** ერმოლოვის თხოვნის მიუხედავად, იგი ალექსეი ველიამინოვის ბანაკში არ გამოცხადდა და რუსებისათვის არც რაიმე დახმარება აღმოუჩენია. კავკასიის მთავარსარდალი მიიჩნევდა, რომ გურიის მთავრის ასეთი მოქმედება აჯანყებულებს წაახალისებდა. ერმოლოვი მამია გურიელს არწმუნებდა, რომ მის მიმართ რუსეთის ხელისუფლებას არანაირი ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა და არც მის შეპყრობას აპირებდა. იმავდროულად, კავკასიის მთავარსარდალი გურიის მთავარს მოუწოდებდა თავიდან მოეშორებინა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები, მაგალითად, თავადი **დავით მაჭუტაძე.** მიუხედავად იმისა, რომ მამია გურიელმა რუსებს აშკარა თანადგომა არ გამოუცხადა, იგი იძულებული გახდა ივან პუზირევსკის მკვლელი **იოთამ ბოლქვაძე** შეეპყრო და რუსებისათვის გადაეცა. იოთამ ბოლქვაძე ჯარისკაცთა მწყობრში გაატარეს და ზუმბების ცემით მოკლეს. მაშინ, როდესაც ალექსეი ერმოლოვი მამია გურიელისა და ალექსეი ველიამინოვის შეხვედრას დაჟინებით ცდილობდა, გავრცელდა ხმები, რომ ამ შეხვედრისას ალექსეი ველიამინოვს ისევე მოკლავდნენ, როგორც მოკლეს ივან პუზირევსკი. შეშფოთებულმა ერმოლოვმა ალექსეი ველიამინოვს სასწრაფოდ აცნობა, რომ მამია გურიელს მხოლოდ რუსეთის ჯარის ბანაკში შეხვედროდა.

**(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918, ტ. 1. გვ.374– 376)**

გაგრძელება იქნება

# ვინ მოხვდა ვალების განულების სიაში - ვებგვერდი, რომელიც მზად 3 დეკემბერს უნდა ყოფილიყო, ჯერ ვერ ამოქმედდება



ვებგვერდი, სადაც მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა ნახონ მოხვდნენ თუ არა ვალების განულების სიაში, შესაძლოა 3 დეკემბრამდე მზად არ იყოს.

შეგახსენებთ, ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა განაცხადა, რომ სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ერთიანი ბაზა გაკეთდება და 3 დეკემბრიდან უკვე მზად იქნებოდა ვებგვერდი, სადაც თითოეულ ადამიანს ექნებოდა შესაძლებლობა თავისი მონაცემები შეეყვანა და ენახა მოხვდა თუ არა დავალიანების ჩამოწერის პროგრამაში.

თუმცა, როგორც ,,ბიზნესპრესნიუსს‘‘ ფონდ ,,ქართუში‘‘ განუცხადეს, ვებგვერდი ჯერ მზად არ არის, რადგან სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებისგან კონკრეტული მევალეების სია ჯერ არ მიუღიათ.

,,ვებგვერდს ვამზადებთ,

თუმცა, მისი შინაარსით შევსება დამოკიდებულია კომპანიებზე, რომლებმაც უნდა მოგვაწოდონ კონკრეტული სიები და ველოდებით. მთავარია კონტენტი მივიღოთ, რის შემდეგაც ვებგვერდს ძალიან მალე გავააქტიურებთ,‘‘-აღნიშნავენ ფონდში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი შეეხება თუ არა ვალების განულების ეს აქცია ,,ვივუსის‘‘ მსესხებლებს. როგორც ცნობილია, ,,ვივუსთან‘‘ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები რომ ფონდ ,,ქართუს‘‘ სასესხო დავალიანები მათგანაც შეესყიდა. თუმცა, როგორც ,,ბიზნესპრესნიუსს‘‘ ფონდში განუცხადეს, ,,ვივუსთან‘‘ შეთანხმება ჯერ კიდევ არ მომხდარა. ფონდში არ აკონკრეტებენ მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს თუ არა ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციასთან თუ ,,ვივუსთან‘‘ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

შეგახსენებთ, რომ დავალიანებების ჩამოწერა დაახლოებით 600

ათას ადამიანს შეეხება. ვალების ჩამოწერა 15 დეკემბრიდან დაიწყება და სრულად ჩამოიწერება 31 დეკემბრის ჩათვლით.

**თაია არდოტელი**

# ჯემალ კეჭაყმაძე – ჩვეულ ამპლუაში



ოზურგეთელი (სოფ. კვირიკეთი) ჯემალ კეჭაყმაძე უკვე რამდენი წელია დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე (შობა, აღდგომა, ასევე კვირიკობა) თავისი ავტომანქანით უფასოდ ემსახურებოდა მოქალაქეებს. ,,უფასო ტაქსის‘‘ მსოფლიო ტაქსისტთა დღესაც უსასყიდლოდ გადაჰყავს მგზავრები.

არჩევნების დღესაც ჯემალი ჩვეულ ამპლუაში იყო და დილიდან გადაჰყავდა ამომრჩევლები წითელმთა-შემოქმედი-გომის მიმართულებით.

—არ იფიქროთ, ამომრჩევლებს პოლიტიკური ნიშნით ვარჩევ. მე ისინი საარჩევნო უბნებზე მიმყავს და იქ ვის მისცემენ ხმას, ეს მათი გადასაწყვეტია. მთავარია, ისინი კმაყოფილნი არიან. —გვითხრა ჯემალ კეჭაყმაძემ და მწირი რესურსების მქონე გაზეთსაც დაეხმარა გადაადგილებაში, რომ რამდენიმე სოფელში საარჩევნო პროცესს დავკვირვებოდით.

ჯემალ კეჭაყმაძე ოზურგეთის თეატრის სტაჟიანი მსახიობია, რომელსაც ათეულობით მთავარი და ეპიზოდური როლები აქვს შესრულებული სცენაზე, გადაღებულია რამდენიმე ფილმში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მან შეძლო კვირიკეთის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის აღდგენა, სადაც თითქმის 3 ათეული წელია წირვა-ლოცვა მიმდინარეობს.

—ჯემალი მადლიანი კაცია. ღმერთი დაუფასებს ამ ამაგს —გვითხრა ერთ-ერთმა მგზავრმა ქალბატონმა (გვარად თავართქილაძე).

ჯემალ კეჭაყმაძეს იმ დღეს 30-მდე ადამიანი ჰყავდა საარჩევნო უბნებზე გადაყვანილი.

# სკანვორდი




## № 45-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ალექსანდრე ჭავჭავაძე; პარტია ჩოგბურთში – სეტი; ცისფერი მთები – ტიანშანი; მე-4 ნოტი – ფა; მეტყველების ორგანო – ენა; სკივრი – ლუსკუმა; ვერცხლის სალვინე სასმისი - აზარფეშა; კომპიუტერული ,,თაგვის‘‘ გამომგონებელი – ენგელბარტი; ჭის სახურავი – გვიძი; უშვილო – ბერწი; სილიკატების კლასის მინერალი – აზბესტი; ირლანდიელი ფეხბურთელი (ყოფილი) – ბესტი; ცეცხლის დასანთები საშუალება – ასანთი; იდეა – არსი; ქალის სახელი – ლია; მდინარე აზერბაიჯანში – კარაფში; ჰოლანდიელი დიდოსტატი ჭადრაკში – ეივე; შემახილი ხარის გასაგდენად – აში; ჭანების სოფელი ოზურგეთში – ჭანიეთი; ანდერძის წიგნი – დიათიკა; მარტივის ანტიპოდი – რთული; პლანეტა – ვენერა; მატლი – ჭია; მხუთავი დაავადება – ასთმა; სპილენძის წითელი მადანი – კუპრიტი; მტაცებელი ფრინველი – ქორი; განთიადი – აისი; გამოყოფილი თანხა – ტრანში; ძვირფასი ჯიშის თევზი – თართი; პროვინცია პანამაში – ერერა; მამაკაცის სახელი – ბექა; სახელმწიფო ევროპაში – უელსი; პურის სოკო – ობი; სასოფლო-სამეურნეო კულტურა – სოია; ზურგზე მოსაკიდი ჩანთა – აბგა; მდინარე რუსეთში – ოკა; მხედველობის ორგანო – თვალი; ქალაქი რაჭაში – ონი; პატარა საწნახელი - ორე.

## ოზურგეთელი გუგუნავები

# თავადი თეთრი ცხენით



„დიდ მიხეილად“ წოდებული, მილიციის პრაპორშიკი მიხეილ გუგუნავა

ოზურგეთში გუგუნავების მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობს,ეს გახლავთ ნილოსი გუგუნავას მემკვიდრენი.

გუგუნავა გურიის ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური საგვარეულოა .ისინი ერთ დროს ქვემო გურიის ერისთავები იყვნენ და ასე გაგრძელდა გვიან შუა საუკუნეებამდე,ვიდრე ოსმალების შემოსევამდე.

ქალბატონი **ლამარა ფუტურიძე** 85 წლის, მოგვითხრობს:„ჩემი მეუღლე ნილოსი მიხეილის-ძე გუგუნავა, ისე როგორც ძიმითელი სხვა გუგუნავები, წარმოშობით ქვემო გურიიდან-სოფელ ქობულეთიდან იყო.როცა ოსმალებმა ქვემო გურია დაიპყრეს, ნაწილმა გუგუნავებმა მიიღო ისლამი,ნაწილი კი შუა გურიაში გადმოვიდა .ოთხი ძმა წამოსულა და გურიელთან მისულა თავშესაფრის თხოვნით. გურიელს მიუღია წოდების შენარჩუნებით და მათვის უბოძებია ნასაკირალის, ძიმითის, ცხავატის და ნაგომრის მიწები.ასე რომ არ მომხდარა მათი დაცრობა(წოდებიდან დაქვეითება).

აქვე მინდა გითხრათ,რომ ძიმითელი გუგუნავები მეგობრობდნენ სოფელ ქობულეთელ გუგუნავებთან: ჰუსეინ აღა, ქესკინ აღა, იუსუფ აღა გუგუნავებთან. ეს გუგუნავები ისე ახლო იყვნენ ერთმანეთან, სტუმრობისას თუ რამაზანის დროს მოუწევდა ყოფნა ძიმითში, რამაზანს აქ იხდიდნენ....

ჩემი მეუღლე ნილოსი და მისი მამა მიხეილი ძიმითში ცხოვრობდნენ. მიხეილ გუგუნავა 1895 წელს იყო დაბადებული. მისი ბაბუა მიხეილი გვარში დიდ მიხეილად იყო წოდებული.მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთია 1777-78 წლების ომში. ამ ომში მილიციის პრარორშიკ მიხეილს მუხაესტატეს პოზიციაზე გამოჩენილი მამაცობისათვის მეფე ალექსანდრე მეორის მიერ მიღებული აქვს ჯილდო.ასევე ოჯახში ინახება მიხეილ ალექსანდრეს-ძე გუგუნავა ჯილდო – ვერცხლის მედალი ოსმალებთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, 1854 წლის 4 ივნისს.

ჩემს მამამთილს მიხეილს ჰყავდა ერთ ძმა ალექსანდრე და სამი და: ეკატერინე, ვერა და ელისაბედი-ლიზიკო. დებს ქუთაისის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული.მიხეილის ძმა ალექსანდრეს სამედიცინო ჰქონდა დამთავრებული და ექიმად მუშაობდა ლანჩხუთში. მის შესახებ იაკობ ახუაშვილის წიგნში ვკითხულობთ: *„ლანჩხუთის მშვენება, გურიის კაი-ყმა ,ბრწყინვალე ექიმი, ყველა გურულთა სიხარულის, სევდისა და ჭირ-ვარამის გამზიარებელი,სტუმრის მიმღები და დამფასებელი რაიონის დიდი მოამაგე,ქალთა ჯანმრთელობაზე მზრუნველი, ექიმ-გინეკოლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი“..* .ის მუშაობდა ლანჩხუთში, სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი. ცოლად შეირთო ლანჩხუთელი აზნაურიშვილი ალექსანდრა გიორგის ასული ებრალიძე.ერთი ბიჭი გაიზარდა. ალექსანდრე და ალექსანდრა გუგუნავების ოჯახში თეიმურაზ გუგუნავა მშენებელი ინჟინერია. ალექსანდრე გუგუნავა გარდიცვალა 1977 წელს .დასაფლავებულია ქ. ლანჩხუთში.

მიხეილი სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, შემდეგ ფოთის გიმნაზიაში, თბილისის მებაღეობის სკოლაში და ბოლოს კიევში .იყო მებაღე -დეკორატორი.გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში კოლექტივიზაციის პერიოდში, როცა მიმდინარეობდა თავად-აზნაურთა გაკულაკება,მიხეილი მისი ნებით მისულა კოლექტივის კრებაზე და განუცხადებია:– ჩემს მამულებს, ქონებას, ყველაფერს გადავცემ მთავრობას, მხოლოდ ჩემს თეთრ ცხენს დავიტოვებო. თურმე ისე უყვარდა მისი ცხენი, ცხენზე არავის აჯენდაო. განცხადების შემდეგ სახლში დედას არ შეუშვია. მათი სახლი -დიდი ორსართულიანი შენობა ვებერთელა ოთახებით იდგა ძიმითში კოხას უბანში.მოგვიანებით კომუნისტებს ოზურგეთში გადმოუტანია ყოფილ ცხაკაიას (ფარნავაზ მეფის) ქუჩაზე და რომელშიაც წარმოება ყოფილა შიგ განთავსებული.

მიხეილ გუგუნავა, ერთ დროს დიდი ქონების პატრონი, ახლა მხოლოდ თეთრი ცხენის ამარა დარჩენილი, შემჯდარა თავის ერთად ერთ ცხენზე და ბათუმში წასულა.სადაც „მიწგანის ”გამგეს იგი ბუკნარის მეურნეობის გამგედ დაუნიშნავს. ბინაც მიუცია ბათუმში ყოფილი გენერლის ბინა.( ეტყობა ქონების ნებაყოფლობით ჩაბარების გამო მთავრობის კეთილგანწყობა მოიპოვა.)

მიხეილი ქუთაისში გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ცხოვრობდა სიმონ გუგუნავას (პოეტი, „თამარიანის“ ავტორი) ბინაში. ქუთაისში სწავლის პერიოდში მან გაიცნო მისი დის, ვერას მეგობარი ეკატერინე ერასტის ასული როყვა (წარმოშობით გლეხი), მაგრამ მამა ერასტი როყვა ოზურგეთში ცნობილი ვაჭარი იყო და ფლობდა მიწის ნაკვეთებს. ეკატერინე კულტურული განათლებული ქალი იყო. მათ ბუკნარში იქორწინეს. ეკატერინეს მამამ მზითევში მისცა მამულები. ამ დროს მიხეილი ქობულეთში მუშაობდა „მიწგანის“ გამგედ. მალე ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის ოზურგეთში და ინიშნება „სოზის“ თავმჯდომარედ. ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობების ჩამოყალიბების საქმეს.

ერთი ისტორიაც თხრობაში ერთვება ქეთავან გუგუნავა, მიხეილის შვილიშვილი: „მაშინ, როცა გურიაში ჩამოვიდა გიორგი გუგუნავა (პორუჩიკი) მხატვარ ივანე( ჩითან) გუგუნავას მამა ,თან ჩამოიყვანა ცოლი -სოფიო ნიკოლაევნა, რომელსაც გაუხსნია პანსიონი და ასწავლიდა რუსულ და ფრანგულ ენებს თავადის შვილებს. მათ შორის ბაბუაჩემს და მის ძმას ალექსანდრეს, ბაბუაჩემის დებს ეკატერინეს, ვერას და ელისაბედს. ელისაბედ-ლიზიკო თავის თავს ნილოვნას ეძახდა (ნილოსის ასული).ის გაუთხოვარი იყო, ჩვენთან ცხოვრობდა. 92 წლისა გარდაიცვალა. მიუხედავად ასაკისა, სადილს ეტიკეტის დაცვით მიირთმევდა . საჭმლის მომზადება, რა თქმა უნდა, არ იცოდა.

კარგად მახსოვს, პატარა ვიყავი, მაგრამ ყოველთვის ქეთევანს მეძახდა. ლიზიკო თურმე პენსიას არ იღებდა. იმდენი ქონება ჩავაბარე სახელმწიფოს და მაგათი პენსია მე არ მინდაო. უნდა ავღნიშნოთ ,რომ გუგუნავებს განსაკუთრებით ქალბატონებს სიცოცხლის ბოლომდე თავადური ცხოვრების წესი არ დაუკარგავს. ერთხელ თურმე ქალბატონი კატო (ივლიტა) ავად გამხდარა(ბათუმში ცხოვრონდნენ, რადგან ძიმითში უკვე სახლ-კარი აღარ ქონდათ). მიხეილს უთხრა თურმე:– შვილო ექიმი მომიყვანე ,მაგრამ არა გლეხი. „თავადმა“ ექიმმა გასინჯა ქალბატონი კატო და ასე გადარჩაო.

მიხეილის მემკვიდრენი: მიხეილ (მიშა)გუგუნავას ორი შვილი ჰყავდა: ნილოსი და ნუნუ. ნილოსი დაიბადა 1929 წელს, დაამთავრა ჯერ ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდეგ სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი. მუშაობდა ოზურგეთში .მან ოზურგეთში გაიცნო შესანიშნავი ოჯახის წარმომადგენელი, მაშინდელი სოფლის მეურნეობის მინისტრის ქალიშვილი ლამარა ფუტურიძე, გერმანისტი.(იგი წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად ოზურგეთის №4 საშუალო სკოლაში). ნილოსი გუგუნავა 1968 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. სოჭში. მათ ორი შვილი ჰყავთ: უფროსი მიშა-მშენებელი ინჟინერი და უმცროსი ქეთევანი ნასაკირალის საჯარო პედაგოგი, გაუთხოვარი. მიშას მეუღლე, ქეთევან ჩიგოგიძე – პედაგოგი. მათი შვილები: ნიკა– დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ინფორმატიკის განხრით; მისი და ნია მუშაობს თბილისში, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული უცხო ენების სპეციალისტი, არის ფასილიტატორი( ტერმინი გამოიყენება განათლების სისტემაში და ნიშნავს სპეციალური გამოცდილების მქონე ადამიანს, რომელიც ეხმარება სხვას სასწავლო მიზნების მიღწევაში), საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი, ექსპერტი.



თავადები: მიხეილ და ალექსანდრე გუგუნავები.

გუგუნავების შესახებ არსებობს იაკობ ახუაშვილის მონოგრაფია „გუგუნავები“, სადაც მოთხრობილია ამ გვარის ისტორია და თავადი გუგუნავების გენიალოგია პირველი შტო და მეორე შტო.სწორედ მეორე შტოს წარმომადგენლები გახლავან ოზურგეთელი გუგუნავები.

და ბოლოს მინდა ვთქვა,რომ დღეს ოზურგეთის ცეტრში, გოგებაშვილის ქუჩაზე მყუდრო სახლში მცხოვრებ გუგუნავებს შერჩენილი აქვთ თავადური ღირსება. აქ ყველა ნიუანსში იგრძნობოდა ის იდილია, რაც ადრე მათ ოჯახში სუფევდა.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი



ლამარა ფუტურიძე

## სულთათანა

# ნონა მამულაიშვილი



*„თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,*
*ეხლაც მინათებს შენი მშვენება,*
*შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს*
*არ უწერია გადაშენება“.*

ცნობილი პოეტის გიორგი ლეონიძის ეს სტრიქონები მთლიანად ესადაგება შენს პიროვნებას. მართლაც გვინათებდი ცხოვრებას,ძალიან ლამაზი იყავი, როგორც გარეგნული შესახედაობით, ისე სიკეთის თესვით, სითბოთი, გულითა და სულით, ადამიანებთან ურთიერთობით, მაგრამ ეს სილამაზე ზოგიერთი ვაიექიმის წყალობითა და უპასუხისმგებლობით მოგესპო და ჩამოშორდი ოჯახს,შენს ერთადერთ შვილს ბექას, რომელმაც უშენოდ ველარ შეძლო სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში, იგი ხომ მესამე კურსის სტუდენტი იყო.

ჩვენო საყვარელო ნონა,შენი დაბადების დღე წლეულსაც უშენოდ მოვიდა და დიდი სიყვარულით, მაგრამ უდიდესი ტკივილით აღვნიშნეთ იგი. ერთი სიტყვით, ძლიერ ვამაყობდით შენით, რისთვისაც უდიდეს მადლობას გიხდით. დიდად ვწუხვართ, რომ ვერაფრით დაგეხმარეთ, უცებ გამოგვეცალე ხელიდან.

უზომოდ გვენატრები, გეხვევით და გკოცნით ბევრს.

**მამა ამირანი, და ნანა,**
**ძმა სპარტაკი.**

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი **ნონა (ნუნუ) ჯაჯანიძე-გორდელაძისა** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

დისშვილი არჩილ მჟავია ოჯახით იუწყება **ნათელა დუდუჩავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 დეკემბერს, 3 საათზე. (გამოსვენება ქ. ოზურგეთი, ჟორჟოლიანის 32).

# „იქ, სადაც მუნჯები ლაპარაკობენ...“





30 ნოემბერს ოზურგეთის თეატრში შედგება პრემიერა „იქ, სადაც მუნჯები ლაპარაკობენ...“, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის „ჩანჩურა“ მიხედვით დაიდგა. მუსიკალური დრამის სცენურ ვერსიაზე **თემურ ბიწაძემ** იმუშავა, მუსიკისა და დრამის (ყოფილი მუსკომედიის) ცნობილი არტისტმა, რომელმაც რეჟისორის და მხატვრის ფუნქცია ერთდროულად შეითავსა.

*„ - ნაწარმოები ყოველთვის აქტუალურია. აქ საუბარია რიგით ადამიანზე, მისი უფლებების დაცვაზე, რასაც თავის დროზე შეეწირა ჩვენი დიდი მწერალი. სპექტაკლში ნაწარმოებისაგან განსხვავებით ჩანჩურას საქმე და იდეები იმარჯვებს. სანახაობრივად ნაჩვენებია მე-19 საუკუნის თბილისი. თეატრი, დასი მობიზებულია, ვიმედ-ოვნებთ, რომ კარგ პრემიერას ვაჩვენებთ მაყურებელს.“* - ამბობს რეჟისორი თემურ ბიწაძე.

სპექტაკლში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, მსახიობი თეა კეჭაყმაძე: - ჩემი გმირი - ანუშკი არის ძალადობის მსხვერპლი, რომელსაც მოძალადისაგან - შავო - მსახიობი ვახო ჩხარტიშვილი - შეეძინა შვილი, მამა ბავშვს არ აღიარებს.

ანუშკი ტრაგიკული გმირია, რომლის მძიმე ცხოვრებაში ნათელი შემოაქვს ჩანჩურას - მსახიობი გიორგი ჩავლეშვილი - თანადგომასა და სიყვარულს. ანუშკისათვის ეს სიყვარულია ძალა, რითაც უმკლავდება მძიმე ხვედრს. შრომობს დაუღალავად.“

მაყურებელს სანახაობრივად საინტერესო, მუსიკალური ნომრებით დადგმული სპექტაკლი ელოდება. სპექტალის ქორეოგრაფია- მარიკა ქვეითაია, მუსიკალური გამფორმებელი - ოთარ კუტალაძე, რეჟისორის ასისტენტი - ირაკლი ვადაჭკორია. დადგმაში მონაწილეობენ: მუნჯი ჩანჩურა - გიორგი ჩავლეშვილი (დებიუტანტი), ყროყინა პეტროვი - ირაკლი ვადაჭკორია, ანტიკა ანუშკა - თეა კეჭაყმაძე, ნაბაზრალი შაო - ლევან სალინაძე, ფაშფაშა სონა - ნინო ჯულელი, ბაყალი /რაშიდი/ - გენადი ნიკოლაშვილი, ალაფი - ივანე ჩხაიძე, ყასაბი - ზვიად ჯორბენაძე, ბოქაული - თემურ კვირკველია, ეკატერინე პავლოვნა /ბოქაულის მეუღლე/ - ვერიკო ხუხუნაიშვილი, ბოშა ქალი სტელა - შორენა გვეტაძე, დედა - ზაირა თოთიბაძე საქ. დამსახურებული არტისტი., დენშიკი - ივანე ჩხაიძე, კობა ახალაძე, მოცეკვავეები - თეატრის სტუდიელები.

**ლია კილაძე**

# 80 წლის ასაკში მონახულებული „მემლექეთი“



**ნურიე თოსუმ ოგლუ** 80 წლის ასაკში თავის დედულეთს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელს (ბაილეთის თემი) რამდენიმე დღის წინ ესტუმრა.

ნურიეს დედა ერმისი მექვაბიშვილი ახალსოფელში დაბადებულა, თურქეთში გათხოვილა და წუთისოფელი ისე გაულევია, საფლავში ჩაუტანია სამშობლოს ნახვის სურვილი.

ნურიემ, რომელიც დიდი სიყვარულით მიიღეს სოფელში, ცრემლით დაასველა მშობლიური მიწა და შეასრულა დედის უკანასკნელი სურვილი.

ახალსოფელში მცხოვრებ სიო მექვაბიშვილს ხუთი შვილი ჰყოლია, მათ შორის ერმისი უფროსი ყოფილა. იმ დროს, თურმე, თურქეთიდან ხშირად გადმოჰყავდათ ცხვარი გამოსაზამთრებლად. ახალგაზრდა იბრაჰიმი, თავის მამასთან ერთად, ამ მიზნით ჩამოსულა ახალსოფელში. მამა-შვილი სიოს ოჯახში ათევდნენ ღამეს. ერმისსა და იბრაჰიმს ერთმანეთი შეყვარებიათ. ერმისის მამას, სიოს, უთქვამს ქუთაისსა და თბილისში გათხოვებას, მირჩევნია, ხოფაში გათხოვდეს, ახლოსაა და ხშირად ვნახავ შვილსო. ახალგაზრდები მალე დაქორწინებულან კიდეც. მათი პირველი შვილი ზაფითა ოზურგეთში დაბადებულა და აქ იზრდებოდა, თურმე, 8 წლამდე... შემდეგ საზღვრები ჩაკეტილა და ურთიერთობაც შეწყდარა...

დაახლოებით 35 წლის წინ ერმისს წერილი გამოუგზავნია საქართველოში, აინტერესებდა, თუ იყო ვინმე ცოცხალი მისი ოჯახიდან, თვითონ ამ დროს უკვე 87 წლის ყოფილა და ჰყოლია, 6 შვილი, უამრავი შვილიშვილი და შვილთაშვილი. მოკლედ, ასე აღმდგარა ურთიერთობა და უფროსმა შვილმა ზაფითამ მოახერხა ჩამოსვლა, შემდეგ აქაური ნათესავებიც ესტუმრნენ საპასუხოდ, მაგრამ ამ დროს ერმისი ცოცხალი აღარ ყოფილა.

ერმისის ერთ ერთი შვილიშვილი ათილა თოსუმ ოგლუ ამჟამად ქუთაისში საქმიანობს რამდენიმე დღის წინ სწორედ ის ახლდა თავის დედას ქალბატონ ნურიეს ახალსოფელში.

**ლიკა ბაქანიძე**

# საჩოგბურთო ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის დამთავრდა





27 ნოემბერს დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჩოგბურთო ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის. ტურნირს სპონსორობა გაუწია კომპანიამ შპს „თეთრი წყალი .

ფინალურმა მატჩებმა გულშემატკივართა მოლოდინი სავსებით გაამართლა. გოგონათა ტურნირის გამარჯვებული გახდა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე **მარიამ ქერქაძე**, რომელმაც უშეღავათო სამსეტიან ბრძოლაში იმარჯვა მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლე **ქრისტინე მითაიშვილთან**: 2-4, 5-4 (ტაიბრეიკით 7-5) 4-2.

ვაჟთა ტურნირში კი ოქროსა და ვერცხლის მედლების მოპოვება ასევე პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა შეძლეს. **დაკა სადრაძემ**, ვაჟებში მოასპარეზე გოგონამ, თავისი მაღალი სათამაშო კლასისა და გამოცდილების ხარჯზე ღირსეული მეტოქეობა გაუწია **კახა მჟავიას.**

მჟავიამ საბოლოოდ დაძაბულ სამსეტიან ბრძოლაში მოახერხა ჩემპიონობის მოპოვება: 4-0, 0-4, 5-4 (ტაიბრეიკით 7-5).ფინალისტ ჩოგბურთელებს სამახსოვრო საჩუქრები, თასები სიგელები და მედლები გადასცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა **გელა შაფაქიძემ.**

ტურნირს დიდ ყურადღებას აქცევდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილების თანამშრომლები, თამარ აროშიძე, ნინო მამუკელაშვილი და დავით არობელიძე.

ჩემპიონებს გადაეცათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე შარაშენიძის თანადგომით შეძენილი მაღალი ხარისხის ახალთახალი ჩოგნები.

2018 წლის სატურნირო სეზონი ამით დასრულდა,მაგრამ ოზურგეთის საჩოგბურთო სექცია ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს ბავშვების მომზადებას მომდევნო წელს ჩასატარებელი, გაცილებით ფართომასშტაბიანი ტურნირებისთვის.

# ფიფას რეიტინგი განახლდა - საქართველოს ბოლო ხუთი წლის რეკორდი

ფიფამ ნოემბრის სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს ნაკრები, რომელმაც წარმატებით იასპარეზა უეფას ერთა ლიგაში, წინა თვესთან შედარებით სამი საფეხურით დაწინაურდა და ამჟამად 1269 ქულით 89-ე ადგილზეა.

ვლადიმირ ვაისის გუნდმა ნოემბერში, უეფას ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ორი შეხვედრა ჩაატარა. 15-ში სტუმრად ანდორასთან ფრედ 1:1 ითამაშა, 19-ში კი თბილისში გამართულ დასკვნით მატჩში ყაზახეთი დაამარცხა (2:1) და ლიგაში დაწინაურებასთან ერთად, ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება ოფიციალურად მოიპოვა.

შესარჩევი და ერთა ლიგა - რა ელის საქართველოს ნაკრებს.

აღსანიშნავია, რომ 89-ე ადგილი საქართველოს ნაკრებისთვის ბოლო წლების საუკეთესო მაჩვენებელია. შედარებისთვის, საქართველო შარშან ამ დროს რეიტინგში 104-ე პოზიციაზე იყო, 90-ეულში კი 2013 წლის მარტის შემდეგ აღარ ყოფილა.

ერთა ლიგაში საქართველოს ნაკრების ლიდერი გიორგი ჩაკვეტაძე იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მომავალ წლამდე თამაში დაგეგმილი აღარ აქვს.

განახლებულ რეიტინგში 76-ე პოზიცია უკავია ერთა ლიგის ნახევარფინალში საქართველოს მომავალ მეტოქე ბელარუსს. პლეიოფში ასევე გასული მაკედონია 68-ე პოზიციაზეა, კოსოვო კი - 131-ზე.

რაც შეეხება ფიფას რეიტინგის საუკეთესო ათეულს, წინა თვესთან შედარებით, აქ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ადგილების ცვლას პორტუგალიასა (მე-6 ადგილი) და ურუგვაის (7) შორის. რეიტინგის ლიდერი კვლავაც ბელგიაა, მეორე კი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი საფრანგეთია.

ფიფას რეიტინგის საუკეთესო ათეული

1 (1). ბელგია - 1727 ქულა
2 (2). საფრანგეთი - 1726
3 (3). ბრაზილია - 1676
4 (4). ხორვატია - 1634
5 (5). ინგლისი - 1631
6 (7). პორტუგალია - 1614
7 (6). ურუგვაი - 1609
8 (8). შვეიცარია - 1599
9 (9). ესპანეთი - 1591
10 (10). დანია - 1589.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 3 დეკემბერი ორშაბათი | 4 დეკემბერი სამშაბათი | 5 დეკემბერი ოთხშაბათი | 6 დეკემბერი ხუთშაბათი | 7 დეკემბერი პარასკევი | 8 დეკემბერი შაბათი | 9 დეკემბერი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე ღრუბელი +5+13 | მზე, ღრუბელი +7+15 | მზე, ღრუბელი +8+14 | მცირე წვიმა +7+9 | მცირე წვიმა +6+10 | მზე, ღრუბელი +7+12 | მზე, ღრუბელი +8+13 |